

F 19. 419  
2

8. გურიაშვილი



# გილმანელთა აზარული განახლები აგილ-კავკასიაში

გრ. უფლის რედაქციით.

.....

ტფილისი

ელიუდ-შეჭდავი წიგ. გამოშტ. ქართ. აზ—ისა.

1911



მირაცხოვა აქალაშეზი

# ამიტ-კავკასიაში

გრ. ყიფშიძის რედაქტორ.



ტფილისი

ელექტრო-მაცნევი წიგ. გამომც. ქართ. იმპ.—ის.

1911

325.54 (=112.2) (479.8) + 94 (=112)  
225.805000 112.2 65.69 109.5  
225.805000 112.2 65.69 109.5

ଓଡ଼ିଆବ୍ୟାକ୍

ବିଜ୍ଞାନ ପରିଦିଶା

$$= 19.419$$

3	0	7	3	0	7	3	0	6
3	8	0	6	5	0	6		
3	6	7	3	3	0			
3	5	7	3	3	3			
3	0	9	3	3	3			

## გერმანელთა ახალშენები ამიერ-კავკასიაში

### I

ისტორია გერმანელთა ახალშენების დაფუძნებისა ამიერ-  
კავკასიაში.—ტფილისის და განჯის გუბერნიაში.

ვისაც რკინის გზით გაუვლია ტფილისისა და  
განჯის გუბერნიაზე, უქმეველად შენიშნავდა რკინის  
გზის ახლო მდებარე გერმანელთა ორ ახალშენს:  
ერთს ტფილისის ახლოს, მეორეს—განჯის ახლოს.  
ამისთანა ახალშენი ტფილისისა და განჯის გუბერ-  
ნიაში სულ შვიდია. დღეს მსურს მოგახსენოთ, თუ  
როგორა სცხოვრობენ გერმანელები ანუ ნემენცები  
ამ სოფლებში. მაგრამ სანამ იმათ ცხოვრების აღწე-  
რას დავიწყებდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, თუ საიდან,  
ან როდის გადმოსახლდნენ გერმანელები ჩვენში.  
ამისათვის ცოტა შორიდან დავიწყებთ საუბარს.

ამ ასის წლის წინად, სახელდობრ 1800 წლიან  
წელთა შორის, ევროპაში დიდი ომიანობა იყო. სწო-  
რედ ამ ხანებში მოჰდა საფრანგეთის დიდი რევოლი-  
უცია. საფრანგეთში გაღატაკებულმა და მიწასთან  
გასწორებულმა ხალხმა უკანასკნელი ღონე მოიკრიბა  
და თავისსავე მთავრობას შეებრძოლა. ხალხს უნ-  
დოდა მოესპონ ბატონ-ყმობა და თანასწორობა დაე-



მკვიდრებინა. მართლაც და საფრანგეთიყ ჰყლიტურები-  
მარჯვა, მთავრობა დაამხო და თავისუმტკრძალების მარჯვი  
შა ააფრიალა. სხვა სახელმწიფოებს ეს არ მოეწო-  
ნათ და საფრანგეთს ომი გამოუცხადეს. მათ კავში-  
რი შეჰქრეს და საფრანგეთს მოსპობას უპირებდნენ.  
ამ დროს საფრანგეთს გამოუჩნდა დიდებული სარ-  
დალი, რომელმაც იგი განსაცდელისაგან იხსნა. ის  
სარდალი იყო დიდებული ვაჟკაცი, სახელგანთქმული  
ნაპოლეონი. ნაპოლეონმა, არამც თუ მტერი თავის  
სამშობლოს მიჯნამდე არ მიუშვა, არამედ საფრანგე-  
თის ჯარით მტერს მიუხდა კარზე, დაამარცხა და ყვე-  
ლებან თავისუფლება გამოაცხადა. თავის ძლევამოსილ  
ჯარით ნაპოლეონმა მთელი ევროპა დაიპყრო და ყვე-  
ლა სახელმწიფოთა სამზღვრები მოსპო. ნაპოლეონის  
მიერ დამარცხებული სახელმწიფონი არა სცხრე-  
ბოდნენ და ევროპაში ომს ბოლო არ ელებოდა. .

გამუდმებულმა ომიანობამ ხალხი ძალიან გააღა-  
ტაკა, ნამეტნავად სამხრეთ გერმანიაში, რომელიც  
საფრანგეთის მოსაზღვრედ მდებარეობს; ხალხი ვე-  
ლარა ჰხედავდა ომისა და არეულობის დასასრულოს.

სწორედ ამ დროს ვიურტემბურგის საერისთა-  
ვოში გავრცელდა ხმა: „მოახლოვდა ქვეყნის დასა-  
სრული; მალე იქნება მეორედ მოსვლა; ეს არეუ-  
ლობა-ომიანობა წინამორბედია ანტიქრისტეს მოსვ-  
ლისათ; რომელ ქრისტიანესაც სურს ანტიქრისტეს  
დევნისაგან თავი იხსნას, უნდა გაიხიზოს შორს  
აღმოსავლეთისაკენ, საცა იქსო ქრისტე აღადგენს  
თავის სამეფოსათ.



ამისთანა ხმებმა და უმთავრესად კი ომიაწამისაზუდა  
და არეულობის მიერ გამოწვეულმა სიღატაჭეშ, “შეკრიტეკა  
ლიან ბევრი გერმანელი აიძულა აყრილიყო თავის  
მამა-პაპათა ადგილიდან და სადღაც, აღმოსავლეთი-  
საკენ ეძებნა ქრისტეს სამეფო; ზოგი მათგანი ამე-  
რიკაში წავიდა და ზოგმა კი რუსეთს მოაშურა, ანუ  
უკეთ რომ ვთქვათ კავკასიას, რადგანაც კავკასია  
გერმანიიდან აღმოსავლეთიდა სძევს.

რუსეთის მთავრობა კავკასიაში გერმანელების  
გადმოსახლებას დიდის თანაგრძნობით მიეგება. იმ  
დროს ის-ის იყო საქართველო შეუერთდა რუსეთს,  
და რუსეთმაც ბაქოსა და განჯის სახანოების დაპყრო-  
ბით კავკასიაში თავისი მფლობელობა გააფართოვა.  
მთავრობას სურდა ჩაესახლებინა კავკასიის მკვიდრ-  
თა შორის გერმანელები, რათა მათგან კავკასიელთ  
შეესწავლათ მიწის შემუშავება და საზოგადოდ სა-  
სოფლო მეურნეობა. ამას გარდა, რუსეთს სურდა  
კავკასიის უდაბურ ადგილებში მოსახლეები გაეჩინა;  
ამისათვის რუსეთის მთავრობა დაპირდა გერმანე-  
ლებს, თქვენის გადმოსახლების ხარჯს მე ვკისრულობ  
და, თუ კავკასიაში დაბინავდებით (გერმანელებს უფ-  
რო შორს აღმოსავლეთისაკენ სურდათ წასვლა) მი-  
წებს, სამეურნეო იარაღს მოგცემთ და ორმოცდა-  
ათ წელიწადს ყოველგვარ გარდასახადისაგან განგა-  
თავისუფლებოთ.

1817 წ. დაახლოვებით 1440 კომლმა გერმა-  
ნელმა დასტოვა თავისი მამა-პაპეული კერა და ვი-  
ურტეგბურგიდან კავკასიისაკენ გამოსწია. იმ დროს



არც რეინის გზები იყო და არც გზატკუპეფულები  
 გერმანელები ფურგუნებით თავიანთ ავლაზედეტუშა  
 ნება-ნება მოდიოდნენ. თითქმის სამ წელიწადს მო-  
 უნდნენ, ვიდრე კავკასიამდე მოაღწევდნენ. ბევრმა  
 ვერ გაუძლო შორეულ მგზავრობას და გზაში და-  
 ლია სული. დიდ ვაი-ვაგლახს შემდეგ, გერმანე-  
 ლები ჩამოვიდნენ ქალაქ ოდესაში. ბევრმა მეტი სია-  
 რული ველარ შესძლო და იქვე დარჩა. მხოლოდ  
 ხუთასიოდე კომლმა განაგრძო გზა კავკასიისაკენ.  
 რათა ამ ხუთას კომლისთვის მგზავრობა გაეადვი-  
 ლებინათ, რუსეთის მთავრობამ დაჰყო ჯგუფებად.  
 თითო ჯგუფში ორმოცდა-ათ ფურგუნამდე იყო.  
 ჯგუფები ერთმანეთს რამდენისამე დღის მანძილზე  
 მისდევდნენ. მაშინ საქართველოში მხოლოდ კავკა-  
 სიის სამხედრო გზით შემოისვლებოდა. ეს გზა ეხ-  
 ლაც არის: იწყება კავკავიდან, გადმოდის სტეფან-  
 წმინდაზე, დუშეთზე, მცხეთაზე და ტფილისში ჩა-  
 მოდის. აი, ამ გზით, დიდის გაკირვების შემდეგ,  
 გერმანელები ტფილისს ჩამოვიდნენ. მათ ტფილისის  
 მაზრის სხვადასხვა ადგილას მიუზომეს თავისუფალი  
 მიწები და დაასახლეს. იმათში ორმოც კომლამდე  
 კარგი ხელოსნები იორჩიეს და ტფილისის ახლოს  
 დაასახლეს. ამ ახალშენს სახელიდ ეწოდება **ახალი ტფილისი**. შემდეგ, როცა ტფილისი გაიზარდა, ეს  
 ახალშენიც ტფილისს შეუერთდა; სადაც წინად ეს  
 ახალშენი იყო, ახლა მიხეილის პროსპექტია. საცა  
 ახლა ლიუტერანების ეკლესიაა მიხეილის „პროს-  
 პექტზე“, ის ახალშენის შუაგული იყო.

ბოლოს ჩამოსულ გერმანელებს ტფილისის ახ-  
ლო-მახლო თავისუფალი მიწები აღარ ეყოთ უდიდესი გა-  
ჯის გუბერნიაში დაასახლეს.

სულ შეიდი ახალშენი გაშენდა, ხუთი ტფილი-  
სის გუბერნიაში: 1) ალექსანდერდორფი, (ტფილი-  
თან); 2) მარიენფელდი (სართიკალასთან, გარე-კა-  
ხეთი); 3) ეკატერინენფელდი; 4) ალექსანდერპილ-  
ფი; 5) ელიზაბეტრალი; ორიც განჯასთან: ელენენ-  
დორფი და ჰანეფელდი.

მიზომილ მიწებზე გერმანელებმა გააშენეს: ვე-  
ნახები, ბალები, გაიყვანეს სარწყავი არხები და მუდ-  
მივის მუყაითობით იმათი სოფლები ანუ ახალშენები  
ისეთი მდიდარი და მოწყობალია, რომ კავკასიაში  
ერთი სოფელიც ვერ შეედრება.

თუმცა ყველა ეს ახალშენები გარეგნობით ერთ-  
მანეთსა ჰვევანან, მაგრამ თავისის სიმდიდრითა და მო-  
წყობილობით პირველი ადგილი ელენენდორფს უკი-  
რავს და მეც ელენენდორფის აღწერას შეუდები.  
რასაც ჩვენ ელენენდორფში ვნახავთ, იმას მეტ-ნაკ-  
ლებად ყოველ ახალშენში შევხვდებით.

## II

### აღწერა ელენენდორფისა

- ა) გარეგანი სანახაობა; ბ) ქუჩები, სახლები  
და მათი მოწყობილობა; გ) სისუფთავე.

ელენენდორფი განჯიდან რვა ვერსის მანძილ-  
ზე მდებარეობს. გასცდები ჭთუ არა განჯიდან სამ  
ვერსს, თქვენს თვალს მშვენიერი სურათი წარმოად-

გება; გზის მარჯვნივ თვალგაუწვდენელი საუკეთესო  
ვენახებია. ვაზები თვალუწვდენელ სიგანძიშვილ შემუშავა



გერმანელთა ახალშენი გლენწნდორთი, (განჯის მასლობლიად).

ბრად ჩამწკრივებულა და ღონიერ სარებს ჩაპევევია.  
მთელ ამოდენა ვენახს მაღალი გალავანი აქვს შე-

მოვლებული. გალავანს გზის მხარეს შიგა-და-შიგ ვე-  
ბერთელა ბჭის კარები აქვს დატანებული. ნუ თუ ეს ამოდენა თვალუწვდენელი ვეზაბი ერთს  
კაცს ეკუთვნისო? პასუხად მიიღებ— ეს ვენახები გერ-  
მანელებისა არისო.

გზაც საუცხოვოა. გზის ორსავე მხარეზე ლა-  
რივით ჩამწკრივებულია დიდრონი ხეები. გადაუხ-  
ლართიათ ერთმანეთში ტუტები და გზას გიჩრდი-  
ლავენ. ახალშენამდე სულ ჩრდილში მისდიხარ და  
მადლობას უთვლი მათს დამრგველთ; ეს ხეები ახალ-  
შენის მკვიდრთა დარგულია. მცენარეულობა გერ-  
მანელებს საზოგადოდ ძალიან უყვართ: ყველა ახალ-  
შენის ქუჩები მისავალ გზა-ხეივანსა ჰგავს.


მისავალ გზაზე ამ რიგათა რგავენ გერმანელე-  
ბი ხეებს: გაზომავენ გზას, საცა ხეების დარგვა უნ-  
დათ, კენჭის ყრით ინაწილებენ თავიანთ შორის; ეისაც რა ნაწილი შეჭვდება, მოვალეა თავის ნა-  
წილში ხეები დარგას, მორწყას, მოუჯროს. თუ  
ხე დაბერდა, გახმა ან ქარმა მოსტება, იგივე გერმა-  
ნელი ან მისი ჩამომავლობა მოვალეა ახალი ხე ჩარ-  
გოს. ეხლა გერმანელებსა სურთ ახალშენთა მისა-  
ვალ გზაზე იმისთანა ხეები დარგონ, რომელნიც  
სარგებლობასაც მოუტანთ. იმათ სურთ მთელ მისა-  
სვლელში, თოხი ვერსის მანძილზე, კაკლის ხეები  
ჩაჭრეონ. როცა კაკალი შემოვა, დარაჯს დაუყე-  
ნებენ, რომ არავინ მოიპაროს. კაკალს დაბლერ-  
ტავენ, გაჰყიდიან და ფულს რომელსამე სასოფლო  
საქმეს მოახმარებენ, მაგ. საავადმყოფოს. შეიძლება

ზეთის სახდელი ქარხანაც გამართონ. ამ გვარად გზა-  
ზე ჩამწკრიებული ხეები ორ-ნაირ სარგებლებულებას აღმიარება  
ტანს, ჩრდილსაც გააჩენს და ნაყოფსაც მისცემს.

ვსთქვათ,—ჩახვედით ელენენდორფში. გაკვირ-  
ვებაში მოსდიხართ იმ სისუფთავით, რომელიც იქ არ-  
სებობს. ვერ პნახავთ ოლრო-ჩოლრო, მიკიბულ-მო-  
კიბულ, ნაგვით სავსე ქუჩებს, მთვრალის ხალხით  
სავსე სამიკიტნოებს, ნახევრად დანგრეულ სახლებს  
ბინძურ ეზოთი. ყველაფერს იმისი დაღი აზის, რომ  
იქ კულტუროსანი ხალხი, გამჭრიახი, შრომის მო-  
ყვარე მკვიდრი სცხოვრობს. სუფთა, ლარივით სწო-  
რე, განიერი ქუჩები, ქუჩის პირას წამოჭიმული ლა-  
მაზი სახლები, სუფთა, განიერი ტროტუარები, ქუ-  
ჩის ორსავე მხარეს ვიწრო არხები, რომლებშიაც  
საამურად მოჩხრიალებს წყალი, ქუჩის ორსავე მხა-  
რეს ჩამწკრიებული ზეცამდის ამართული ალვის  
ხეები,—აი, ის სანახაობა, რაც პირველადვე თქვენს  
ყურადღებას იპყრობს.

სოფლის შუაგულში დიდი მოედანია. ყველა  
ქუჩები აქ იყრის თავს. ამ მოედნის გარშემო შენო-  
ბები სულ სასოფლო, საზოგადოა. ერთ მხარეზე არის  
ეკლესია და სკოლა, მეორეზე—სოფლის სამმარ-  
თველო, იქვე სოფლის საამხანაგო დუქანი, მერე  
საამხანაგო საყასპო, იმის გასწვრივ ლვინის გამყი-  
დველთა საამხანაგო სადგომი. მოედანსაც გარშემო  
ხეები აქვს შემორგული.

სახლები სრულებით არ ჰგავს ჩვენებულს სახ-  
ლებს. ეს სახლები მკვიდრია და ლამაზი; სახურავი



გერმანულთა ახალი შენი ელექტროლორფი,— (განჯის მხალობლად).



ძალიან აწოდილი აქვთ და ისე დაქანებულებურუცუმან  
ზედ ერთ წვეთ წყალსაც არ შეუძლიაპ ჭარტვირზე  
გერმანელების სუფთა ეზოში ვერა ჰნახავთ ვერც სა-  
სიმინდეს, ვერც მარანს, ვერც ბელელს, ვერც სამ-  
ზარეულოს, ვერც საკუპნაოს: ყველა ეს ერთად  
თავმოყრილია სადგომ შენობაში. გერმანელების სად-  
გომის ქვეშ მიწაში ამოთხრილია სარდაფი: სარდაფის  
თავი თაღებით არის გადაყვანილი. სარდაფში გერ-  
მანელები ღვინოს ბოკებით ინახავენ. ეს არის იმათი  
მარანი. სარდაფს ზემოდან თითონ გერმანელების  
სადგომია. სადგომი უმეტეს ნაწილად სამის ოთახი-  
საგან და სამზარეულოსაგან შესდგება. სადგომის ზე-  
ვით სხვენია. სხვენი ძალიან მაღალია და რამდენსამე  
ნაწილად დაყოფილი. სხვენში გერმანელები ინა-  
ხავენ: პურს, ქერს, ხილს, სიმინდსა და საზოგადოდ  
ყოველსავე სანოვაგეს.

მგვარად ერთსა და იმავე შენობაში გერმანე-  
ლი თითონაცა სდგის და თავის კირნახულსაც ინახავს,  
რაიცა ცოტა ალაგს იქერს.

გერმანელებს ეზოები პატარა აქვთ. ეზოს გა-  
ლავანი იქნა შემოვლებული. ეზოში, სახლის მომზ-  
რებით, თავლაა, სადაც ძროხები და ცხენები ჰყავთ  
თითო ოჯახს ორი-სამი ძროხა მაინცა ჰყავს, როგორც  
საწველად, ისე სასუქის გულისათვის.

გერმანელს სამი ოთახი აქვს. ერთი სასადრლო,  
ერთი—საძილო, ერთიც—სასტუმრო. სასტუმრო  
უბრალოდ, მაგრამ გემოვნებაზედ არის მორთული:  
სელის სკამები, მაგიდა, საწიგნე წიგნებით, ტახტი

მუთაქებით, კედელზე და ძირს იატაკზე დაფურჩულავა  
კუთხეში ფისგარმონია ან პიანინო\*), ჰუმლუშებული  
ჩარჩოიანი სურათები, ან ნახატებიდან ამოღებული  
ვარაყით ნაწერი სიტყვები,—აი მთელი მოწყობი-  
ლობა სასტუმროსი.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო სამზარეულოა.  
ჩემის აზრით, ადამიანის კულტუროსნობა სამზარეუ-  
ლოს სისუფთავით უნდა იზომებოდეს. გერმანელე-  
ბის სამზარეულოში წარმოუდგენელი სისუფთავეა.  
ორის ქვაბის დასადგმელ პატარა „პლიტას“, ქვაბს,  
ხუფებსა და სხვა სამზარეულოს ხელსაწყოს კრიალი  
გააქვს. სამზარეულო თუმცა პატარაა, მაგრამ დიდის  
სისუფთავის გამო სამზარეულოში აბანოს ჭიას ვერ  
ნახავთ. რომელიც ჩვენებურ სამზარეულოს მუდ-  
მივი სტუმარია.


ასეთი უმაგალითო სისუფთავე გერმანელ ქა-  
ლების ჩვეულებით აიხსნება. ისინი თუმცა მუდამ  
დღე უვლიან სახლს და სწმენდენ ავეჯეულობას,  
მაგრამ კვირაში ერთხელ, შაბათობით, ყველაფერს  
ისე საფუძვლიანად უვლიან, როგორც ჩვენ ვიცით  
დიდ უქმების წინ. ფანჯრებს საპნით რეცხავენ, ფარ-  
დაგებს ბლერტავენ, ავეჯეულობის მტვერსა სწმენ-  
დენ, სამოვარს და სხვა თითბრის ავეჯს სწმენდენ,  
ეზოებს ჰევიან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ფილა-  
ქანსაც\*\*) კი თბილის წყლით რეცხავენ. ამისთანა

\*) ფისგარმონის და პიანინო საყრავრა.

\*\*) ფილაქანი ავურის იატაკია.



სისუფთავის გამო, ახალშენში ბაღლინჯოუ ქართულული კლი არა-ჩვეულებრივი მოვლენაა. სკოლაში ბაზუმეტრიკები არ იკოდნენ, ეს მწერები რა არის, არსად არ ენახათ.



გეოლოგიური ანალიზები ელექტრიდონაზე, (განჯის განლობლივ).

ყოველ ხახლში სასმელ წყლის მილია გაყვანილი. გერმანელებს სასმელი წყალი რკინის მილებით



მოჰყავთ მთიდან, თითქმის ათის ვერსის სიშლებიდან მოგვიახლოება  
ვენახების სარწყავად კი—მღინარე განჯიდან, ესე  
სამი ვერსის მანძილიდანაა გამოყვანილი წყლის არ-  
ხი. აქ მხოლოდ ამ არხის წყალობით გახდა შესაძ-  
ლებელი მიწის შემუშავება და ვენახების გაშენება.  
მაგრამ რადგანაც გერმანელებმა ძალიან ბევრი ვე-  
ნახები გააშენეს, სარწყავ-არხის წყალი არ ეყოთ,  
(მოურწყველად აქ არაფერი პხარობს), ამისთვის მოა-  
წყვეს ეგრედ-წოდებული „კიარიზი“. კიარიზით  
მორწყვა სპარსეთში იციან და გერმანელებსაც სპარ-  
სელებმა ასწავლეს. კიარიზით მორწყვა ასეთია:  
მთის ძირას მოთხრიან იმ სილრმე თრმოებს, სანამ  
ყველა ორმოში წყალი არ გამოჩნდება. შემდეგ  
ყველა ორმოს ხვრელებით შეაერთებენ და ამგვარად  
მოაგროვებენ ბლომად წყალს. შემდეგ ხვრელს გა-  
სთხრიან დაბლობისაკენ, საითაც ვენახებია, ვიდრე  
ეს წყალი დედამიწიდან არ გამოვა. ვენახებს ამ  
წყლით რწყავენ. კიარიზები გამოჰყავთ არა მარ-  
ტო მთის ძირებიდან, არამედ იმ ფერდოებიდანაც,  
საცა ვენახებია გაშენებული. როცა ვენახებს არხის  
წყლით რწყავენ, ბევრი წყალი მიწის ქვეშ იპარე-  
ბა და კიარიზით აი ამ წყალს აგროვებენ. ამნაი-  
რად, გერმანელებს მუქთად ერთი წვეთი წყალიც კი  
არ ეკარგებათ.



## წარმოება ახალშენებში პილუკისთვა

ა) შევენახეობა; ვენახების სანახაობა და მათი შემუშავება. ბ) მელვინეობა; ღვინის დაყენების წესი. გ) საელექტრონო სადგური და ელექტრონის ძალის შოთმარება სხვადასხვა ქარხანაში (სადურგლოსა, სამჭედლოსა, საბოჭკისა და საფურგლენები). დ) მადნეულობის სადნობი ქარხანა; გაკეთება და შეკეთება სამეურნეო იარაღებისა.

ახალშენელთა ცხოვრების უმთავრესი წყარო ღვინოა. ამისათვის ვაზის გაშენებას და ვენახის მოვლას უმთავრეს ყურადღებას აქცევენ. ვენახები გერმანელებს ერთ ალაგასა აქვთ შეჯგუფებული. მთელს ვენახებს საერთოდ გალავანი აქვს შემოვლებული. უცხომ რომ შექხედოს, ეგონება, ერთი ვენახია. ერთი ვენახი მეორისაგან პატარა კვალით იყოფა, ვენახებს საერთო გზა ჩაუდის, რომელზედაც ფურგუნებს შეუძლიან სიარული; გზა კარგია და, სადაც საჭიროა, ცემენტის კოხტა ბოგირებია გაკეთებული. ახალშენის ვენახები სიგრძით ათ ვერსამდე იქნება, სიგანით კი ზოგან სამ ვერსამდე, ზოგან—ნახევარ ვერსიც არ იქნება. ამოდენა ვენახებს მხოლოდ ოთხი კაცი ჰყარაულობს. ყარაულები ვენახებს ცხენებით გარს უვლიან. ვენახებს დარაჯობა უნდათ იმისათვის, რომ თათრები იპარავენ ხოლმე ყურძენს. თვით ვერმანელებმა ქურდობა არ იციან; რთველს ყველანი ერთსა და იმავე დროს იწყებენ.

ვენახები ძალიან კარგი ნაკეთებია. მთელ ჭავე  
 კასიაში ამისთანა კარგად ნაკეთები ვენახები ღრმა  
 არ მოიპოვება. ვენახს განუწყვეტლივ რწყავენ, ზამ-  
 თარშიაც კი. გერმანელი ვენახში გამუდმებით მუ-  
 შაობს. გაზაფხულდება თუ არა, გერმანელები ქი-  
 რაობენ სპარსელებს და ვენახებს აბარვინებენ; ამას-  
 თანავე ვენახს სასუქს (პატივს) აყრიან. ვისაც სა-  
 სუქი არა ჰყოფნის და სასყიდლადაც ვერ უშოვ-  
 ნია, მთის ფერდობებზე და სხვა ნოკიერ ალაგას  
 სთხრის ზედაპირს (შავ მიწას) და, პატივის ბადლად,  
 ვენახს აყრის. ამ მოვლის გამო, ვაზი ძალიან ლო-  
 ნიერია. თუ ჩვენში საყურძნელ ერთ რქას ღუ-  
 ნავენ, გერმანელები ორ რქასა ჰლუნავენ, და ერთ  
 ვაზიდან რამდენიმე ფუთი ყურძენი ჩამოდის. ჩვენ-  
 ში დესეტინა იძლევა ას ან ორას ვედრო ღვინოს,  
 ახალშენებში ერთი დესეტინა რვაას ვედროზე მეტ  
 ღვინოს აძლევს.

გაზაფხულზედვე გერმანელები შავ ყურძნის  
 ყვავილს აბერტყავენ გარეულ ვაზის (კრიკინის)  
 ყვავილის მტვერს. კრიკინის ყვავილი თათრებს ჩა-  
 მოაქვთ მთიდან და გირვანქას ექვს შაურად ჰყიდიან.  
 თუ კრიკინის ყვავილის მტვერი არ დავაბერტყეთ  
 შავის ყურძნის ყვავილსაო,—ამბობენ გერმანელე-  
 ბი,—ძალიან წვრილ-მარცვალი და ცოტა ყურძენი  
 მოდისო.

რადგანაც ახალშენს ახლო ტყე არ არის ხელო  
 ცა ჭიგოს მოქრა შეიძლებოდეს, უშესაჭავს გადატრუ-  
 ფალ და ვენახისათვის გამოუსადეგარ ალაგერ გერმანები

მანელებს თითონ მოჰყავთ ეკლის (აკაციის) ხეებზ. ეკლის ხე ძალიან ჩქარა იზრდება, მაგრა ჩემი ნაწილი სამი წლის ეკლის ხეს უკვე პიგოზე აკრავებ წნორის (ტირიფის) ტოტებით. შემოდგომაზე სკრიან წნორის ტოტებს და ზამთარში მიწაში ინახავენ. გაზაფხულზე წყალში ალბობენ, წნორის ტოტები რბილდება და ღვედივით იხრება და ამ რიგად ხმარობენ ვაზების შესაყელად. ვენახებს გერმანელები ისევე სწამლობენ, როგორც ჩვენში, მოვლით კი უკეთესად უვლიან. მაგალითად, ვაზის ფოთოლს ერთი რაღაც ჭია ჰყოლია, რომელიც ვაზის ფოთოლს ახვევს და შიგ თესლია ჰყრის. ამის გამო ვაზს ფოთოლი უხმება. გაიგებენ თუ არა გერმანელები, ეს ჭია გაჩნდაო, მაშინვე უველა, დიდი და პატარა, ვენახებს მოედება. უველას ხელში ნავთით სავსე კოლოფი უჭირავს. თვითეულ ვაზს უშინჯავს ფოთოლს. როცა ამ ჭიას იპოვიან, დაკერენ და ნავთში აგდებენ. ასე დაბეჯითებით ვენახის მოვლა საადვილოა კიდევ იმისთვის, რომ ვაზები ვენახებში რიგზეა ჩამწკრივებული. ჩვენში არ შემხვედრია, რომ თვითეულ ვაზის ფოთოლი გაეშინჯოთ და შიგ ჭიები ეძებნოთ. ვაზები გერმანელებს მარტო კახეთის ჯიშისა აქვთ. რადგანაც ახალშენებში ჯერ ფილოქსერა არ გაჩენილა, ვენახებიც დაუმყნელი აქვთ.

დადგება თუ არა ყურძნის დაკრეფის დრო, სასწავლებლები ორის კვირით იკეტება, და დიდი-პატარა, სულყველა ვენახში მიღის. ამ დროს ძალიან

ძვირია მუშა ხელი. პატარას კი იმდენისავე დაკრეცხულება შეუძლიან, რაც დიდს. გერმანელები თავზე ჩაჭრიათ ხა ხობითა და მუშებით მოედებიან ვენახებს. ყველას ხელში პატარა კალათა უჭირავს. აქა-იქ კი დიდრონი კალათები სდგას. ხელის კალათიდან ყურძენს დიდ კალათაში ჰყრიან, შემდეგ დიდი კალათები იქავე ფურგუნთან მიაქვთ. ფურგუნებზე კი დიდრონი ბოჭკები (ჩანები ანუ კოდები) ალაგია. ყურძენს ამ ბოჭკებში ჰყრიან და შემდეგ დასაწურად მიაქვთ. ყურძნის დასაწურად ორი მუშაა საკმარისი. ყურძენს ჩვენებურად ფეხებით კი არა, მანქანით სწურვენ, რომლის ჩარხსაც ჯერ-ჯერით ორი მუშა ატრიალებს. ყურძნის წვენი დასაწურავ მანქანიდან დიდ ღია ბოჭკებში (ჩანებში) ჩადის, საკა დედას აძლევენ. შემდეგ ღვინოს შესანახად სარდაფის ბოჭკებში იღებენ. ღვინის გადაღებ-გაღმოღება სასრულიავ მანქანის საშუალებით ჰედება, და ერთი წვეთიც კი არ იღვრება. გერმანელები ღვინოს არაფერს არ ურევენ და თავანკარს ჰყიდიან. გერმანელების ღვინო მდარეა და კახურ ღვინოს ძალიან ჩამოუვარება.

ვაკას ჯერ მანქანით ჰქაჯავენ, რომ მთელი წვენი გამოუვიდეს, შემდეგ კი არაყად ჰედიან. გერმანელების არაყის სახდელი ნამდვილი ქარხანაა. არყის სახდელი საზოგადოა, სასოფლო და ძალიან გაუმჯობესებული. ათამდე არყის ქვაბი სდგას და ყველას ერთი მაზუთით გასახურებელი აქვს. ყველას თავისი ვაკა ჯერით მიაქვს ქარხანაში გამოსახდება.

ლად. არყის სახდელ ქარხნის ქვეშ დიდი საორაონა,  
სადაც არყის შესანახი ბოჭკები სდგას ტემპურული  
არაყი ჯერ არყის საზომავში ჩადის, იწყვება და  
იწერება, ვის რამდენი არაყი გამოუვიდა, შემდეგ  
არაყი გადადის დიდ ბოჭკებში და იქ ინახება. სულ  
ყველას არაყი ერთმანეთშია არეული. ჰაჭის პატ-  
რონს შეუძლიან მხოლოდ ერთი ვედრო არაყი წაი-  
ღოს მუქთად. დანარჩენი არაყი კი ერთბაშად იყი-  
დება და ჰაჭის პატრონებს ფული უბრუნდებათ.  
არაყს შეტ ნაწილად ყიდულობს შუსტოვი, სარაჯი-  
შვილი ან ფორერი.

გამონახადი ჰაჭი ტყუილად როდი იკარგება.  
სასუქათ ვენახებს აყრიან, ისე რომ ვენახს უკანვე  
უბრუნდება ის, რაც წაართვეს, და გასაკვირველი  
არ არის, თუ გერმანელთა ვენახები კარგ მოსავალს  
იძლევა.

თუმცა გერმანელთა ცხოვრების უმთავრესი  
წყარო ვენახია, მაგრამ ამას გარდა, ყოველმა გერ-  
მანელმა რაიმე ხელობაც იცის. სკოლის გათავების  
შემდეგ, ბავშვი ხელობას სწავლობს: დურგლობას;  
მებოჭკეობას, მჟღდლობას, მლებრობას და სხვა. ყო-  
ველ ოჯახში მოიპოვება სადურგლო იარაღი, და  
თავისუფალ დროს გერმანელი თავის სადურგლოში  
მუშაობს. ხელოსნობაში გერმანელს ვერავინ ვერ  
შეედრება.

გერმანელი თუმცა თითონ მუშაობს, მაგრამ  
არც ბუნების ძალას სტოვებს მუქთად. ახალშენს  
გვერდზე პაწაწა მდინარე, განჯა, ჩამოუდის. ამ მდი-



ნარეს ამუშავებინებენ ჯერ წისქვილის ბორტჭალებულებული  
მერე—ელექტრონის მანქანებს. ელექტრონის პარაზიტება  
გერმანელებს თითქმის მუქთად უჯდებათ, და ამისა-  
თვის ახალშენში ელექტრონით განათებული სახლი  
ხშირია. ელექტრონით განათება ნავთზე იაფად უჯდე-  
ბათ. მაგალითად, იმისთანა ლამპარი, რომლის მანა-  
თობლობაც თექვსმეტის სანთლის სინათლეს უდრის,  
თვეში ოთხ აბაზად ღირს. განათებას გარდა, გერ-  
მანელები ელექტრონს მამოძრავებელ ძალადაც იყე-  
ნებენ, მაგ. დურგლები ელექტრონის ძალით ფიც-  
რებსა ხერხავენ, აშალაშინებენ; მებოჭკეები საბოჭკე  
ფიცრებსა სთლიან ელექტრონის სათლელით, ფურ-  
გუნის მკეთებლები, ზეინკლები, ერთი სიტყვით  
ყველა სახელოსნოში ელექტრონის ძალას იყენებენ.  
თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგიერთები უთოსაც კი ელე-  
ქტრონით აცხელებენ. აფთიაქში წყლის ასაღულე-  
ბელი ფინჯანი აქვთ. ელექტრონის შემწეობით სულ  
რამდენსამე წამში აღუღებენ წყალს. ამგვარად ელე-  
ქტრონის ძალას ბევრნაირად იყენებენ.

მეორე ალაგი ელექტრონის შემდეგ მებოჭ-  
კეობას უკირავს. თუმცა ყოველმა გერმანელმა მე-  
ბოჭკეობა იცის, მაგრამ თავის ცოდნას გერმანელი  
მხოლოდ ძველ ბოჭკების შეკეთებაში იყენებს. დიდ  
ბოჭკების გასაკეთებლად კი დიდი ქარხანაა საჭირო;  
გერმანელებსაც ეს დარგი ხელოსნობისა საუკეთესოდ  
აქვთ მოწყობილი.

გერმანელთა წარმოებაში მესამე ალაგი ფურ-  
გუნების გაკეთებას უკირავს. ახალშენებში გაკეთე-



ბული ფურგუნი იმისთანა მკვიდრი და ტაქტურულობის  
სხვა გუბერნიებში გააქვთ. ამას გარდა მათზე შექმნილ  
არის კრამიტის და აგურის ქარხნები და ერთი მად-  
ნეულობის საღწობი ქარხანა. ამ ქარხანაში შეაკე-  
თებენ ხოლმე სოფლის სამეურნეო იარაღს; გარდა  
ამისა, ლვინის გადასალებ მანქანებსაც აქ აკეთებენ.

### დასვენება გერმანელებისა.

კვირა დღე ახალ შენებში.

გერმანელი გამუდმებულ შრომაშია; უსაქმუ-  
რად ვერა ნახავთ. თუ გერმანელს საქმე არა აქვს,  
სახლში ჩხირკედელაობს: ან ბოჭკებს უვლის, ან  
ფურგუნს, ან რომელსამე საღურგლო ან სამკედლო  
საქმეს აკეთებს და მხოლოდ კვირაობით ისვენებს.  
კვირას გარდა, სხვა უქმედები არა აქვთ. გერმანე-  
ლებს კვირა ძალიან სწამთ. ამ დღეს არც თითონა  
მუშაობენ, არც საქონელს ამუშავებენ. კვირაობით  
ყველანი საუკეთესოდ ირთვებიან. ამ დღეს საჯე-  
რა აქვთ წირვა: დილით დიდებისათვის, საღილთ  
უკან პატარებისათვის, შემდეგ—მოზრდილთათვის  
და იმათთვის, ვინც პირველ ზიარებისათვის ემზა-  
დება.

გერმანელები ქრისტიანენი არიან, ლიუტერის  
რწმენისა. არც წმინდანები სწამთ, არც ბერობა,  
არც ხატები, არც მარხვა, არც საიდუმლოება-  
ნი, გარდა ზიარებისა და ნათლობისა. სწამთ მხო-  
ლოდ საღმრთო წერილი და ეკლესიაში მხოლოდ

სახარება უძევთ. ეკლესიის სხვა რამე სამკაულო არა  
სწამთ.

გერმანელები მღვდელს **პასტორს** ეძახიან. პას-  
ტორს უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული.\* ) ჩატმა-  
დახურვით პასტორი ერის კაცისაგან არ განსხვავ-  
დება. არც თმასა და წვერ-ულვაშს უშვებს, არც  
ანაფორას იცვამს, ოფერაც ჩვენი მღვდლები; არც  
წვერ-ულვაშს იპარსავს, ოფერაც ფრანგების მღვდე-  
ლი. პასტორი არც ცხოვრებით განსხვავდება ერის  
კაცისაგან: შეუძლიან იყოს უცოლო და შემდეგ, პას-  
ტორობის დროს, ცოლი შეირთოს. თუ დაჭვრივდა,  
მეორე ცოლის შერთვაც შეუძლიან. წირვის დროს  
პასტორი იცვამს ანაფორის მსგავს ჩასაცელს და ყელ-  
ზე თეთრ ყელსასახვევს იკეთებს.

გერმანელების წირვა არის პასტორის ქადაგე-  
ბა, სახარების კითხვა და პატარ-პატარა საგალობე-  
ლთა გალობა. საგალობლები—ეს პატარ-პატარა  
სამლოც შინაარსის ლექსებია, დაწერილები გერმა-  
ნელების მოლექსეებისაგან.

ეკლესიაში მლოცველები სკამებზე სხედან.  
წირვა იწყება საგალობლებით. ხელში ყველას სა-  
გალობლების წიგნი უჭირავს. კედელზე ჩამოკიდე-  
ბულია იმ საგალობელთა ნომრები, რომელნიც იმ  
უნდა იგალობონ. ეკლესიის არღანი\*\* ) დაიწ-  
დლეს უნდა იგალობონ.

\* ) რუსეთში პასტორები სწავლას იურიევის (დორპატის)  
უნივერსიტეტის სალვატორ-მეტუსტო ფაკულტეტზე იღებენ.

\*\*) საეკლესიო არღანი სულ სხვა და სამიკიტნოს არ-  
ღანაან საერთო არაფერი აქვს.

ყებს დაკვრას, და მლოცველებიც არღანს აჰევებიან. გალობას შემდეგ, პასტორი წაიკითხებულია კამატებული. შემდეგ ისევ იგალობებენ, მერე პასტორი ქადაგებას ამბობს, ქადაგებას კიდევ გალობა მოჰყვება და წირვაც გათავდება. გალობაში ყველანი იღებენ მონაწილეობას.

უპირველესი ადგილი გერმანელების წირვაში პასტორის ქადაგებას უჭირავს. პასტორი უმთავრესად მქადაგებელია. თავისის ლამაზისა და შინაარსიანის სიტყვით დააინტერესებს ხოლმე მსმენელებს; ამისათვის ყოველ კვირას ეკლესია ხალხით სავსეა.

როცა წირვა დათავდება, ყველა თავ-თავის სახლში მიდის სადილის საჭმელად. სადილთ უკან იწყება პაწაწების წირვა. იქც პაწაწები ერთად არღანზე აყოლებით გალობენ. შემდეგ კი ჯგუფ-ჯგუფად იყოფებიან; ყოველსავე ჯგუფს თავისი დამრიგებელი ანუ მასწავლებელი ჰყავს. დამრიგებლებათ თითქმის სულ ქალები არიან. ყველა დამრიგებელი თავის ჯგუფს უამბობს იმ დღეისათვის დანიშნულ სამლოო მოთხრობას, განუმარტავს. შემდეგ ისევ საერთო გალობაა, რის შემდეგაც პასტორი ქადაგებას ამბობს. ბოლოს პატარები გალობენ და წირვაც ამითი თავდება.

პატარების წირვის შემდეგ, მოზრდილების წირვა იწყება. ამ წირვას ესწრებიან ეს 13—18 წლის ახალგაზღობა და მოხუცებულებიც; ეს წირვაც სხვა წირვისთანაა. მხოლოდ ამ წირვას უნდა უსათუოდ დაესწრას ის, ვინც პირველ ზიარებისათვის ანუ



კონფირმაციისათვის ემზადება. ჩვენში ვიცით, პატიაწული  
რა ბავშვსაც კი ვაზიარებთ ხოლმე. გერმანელები ვიცით ასე  
ასე არ იციან. იმათის აზრით, კაცი უნდა ეზიაროს  
მხოლოდ მაშინ, როცა შეისწავლის საღრმოო წე-  
რილს და მის მხიშენელობას გაიგებს. ეს-კი ხუთმეტ  
წლის შესრულებამდე არ შეიძლება. ვისაც უნდა  
პირველად ეზიაროს, ჯერ გამოსცდიან. გამოცდა  
ასე ჰქონდება: როცა გერმანელი ბავშვები სახალხო  
სკოლას ათავებენ, მიდიან და პასტორთან ეწერე-  
ბიან. პასტორი იმათთან მეცადინეობს სამის თვის  
განმავლობაში. მხოლოდ საღრმოო წერილს ასწავ-  
ლის. როდესაც მოემზადებიან, ერთ დანიშნულ კვი-  
რას ეკლესიაში იმართება იმათი გამოცდა. პასტო-  
რი შეუაწირვის დროს საჯაროდ აძლევს თვითეულ  
მათგანს კითხვებს. ვინც სულ ვერაფერს მიუგებს,  
იმას ხელმეორედ დასკირდება მომზადება. ვინც სა-  
კირო ცოდნას გამოიჩენს, იმავე დღეს ეზიარება და  
ქორწინების უფლებაც ეძლევა. ვინც ასე, საჯა-  
როდ, არ გამოუცდიათ, ქორწინების უფლება არა  
აქვთ.

### სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივი წესი

მონათვლა, ჯვარისწერა და დამარხეა.

რა კი ეკლესიაზე დავიწყეთ ლაპარაკი, ურიგო  
არ იქნება გაგაცნოთ გერმანელთა სხვადასხვა სარ-  
წმუნოებრივი წესიც. დავიწყოთ ნათლობიდან. მო-  
ნათვლის დროს ბავშვს წყალში არ ამოავლებენ, რო-



გორც ჩვენში, და არც მირონსა სცხებენ პატილურები  
თბილ წყალში ჩაჰყობს ხელს ნათლობის მდგრადი დრო  
ბავშვს თავზე მოუსვამს. გერმანელები ჯვარს არც  
თითონ ატარებენ, არც ბავშვს დაანათლებენ ხოლმე.

ჯვარის წერის დროს ზიარება არ იციან. პასტორი ჯვარს რამდენსამე წყვილს ერთად სწერს. მეფე-დედოფალნი ჯვარის წერის დროს სხედან; როცა ჯვარის წერა გათავდება, პასტორი მეფე-დედოფალს სახარებას ურიგებს. ნათესაობა გერმანელებმა თითქმის არ იციან; მაგალითად, ორ ძმას შეუძლია ორი და შეირთოს; ან როცა კაცს ცოლი მოუკვდება, ცოლად თავის ცოლის დას მოიყვანს ხოლმე: ამისთანა დედინაცვალს თავის გერებისათვის (დის-წულებისათვის) უფრო მეტი გულ-მტკივნეულობა შეუძლიან გამოიჩინოს.

დამარხვა გერმანელებმა სხვა ნაირად იციან, ვიდრე ჩვენში. მიცვალებულს ქელებს არ უმართავენ და ჭირისუფალს დამარხვაზე არავითარი ხარჯი არ მოსდის. ჩვენში მიცვალებულს სასაფლაომდე ხელით წაასვენებენ ხოლმე, შემდეგ ჭირისუფალი იძულებულია ხალხს პატივი სცეს და ქელები გადაიხდოს. გერმანელები კი მიცვალებულს სასაფლაომდე ამფიონით (ეტლით) მიასვენებენ. ამფიონი სასოფლოა, საზოგადო, და ჭირას არ იხდიან. ცხენებს ამფიონში ჯერ-ჯერით აბამენ.

თითქმის მთელი ახალშენი, მეტ ნაწილად კი დედაკაცობა, მიცვალებულს უკან მისდევს, მამაკაცები ხშირად შინ არ არიან, სამუშაოდ არიან გა-



სულები და ამის გამო მიცვალებულის გასტარიზაცია  
„პატივსაცემად“, არა სცალიანთ. მიცვალებულის  
გასევნებისას გზადაგზა გალობენ. სასაფლაოზე პას-  
ტორი სიტყვას ამბობს, რომლითაც ჭირისუფალი  
ანუგეშებს. შემდეგ კუბოზე დააყრის მიწას და  
მიცვალებულს მიწას მიაბარებენ. უნდა შევნიშნოთ,  
რომ კუბოს თავი სულ დახურულია და გზაშიაც არ  
ჰქონიან, როგორც ეს ჩვენში იციან. დამარხვას შემ-  
დეგ, ხალხი თავ-თავის სახლში მიღის.

გერმანელებს სასაფლაო ცალკე აქვთ, ახალ-  
შენის გარედ, და არა ეკლესიის ეზოში, როგორც ეს  
იმერეთშია. სასაფლაოს გარშემო გალავანი აქვს.  
გერმანელები ძალიან უვლიან სასაფლაოს, საფლა-  
ვებზე დარგული ხეებია, დათესილია ყვავილები,  
რომელსაც მუდამ-დღე რწყავენ. ამიტომ სასაფლაო  
ლამაზი სანახავია.

თავის მკველელს გერმანელები სასაფლაოს გა-  
რედ ჰმარხავენ. წლის წირვა, ან ორმოცისა, ან პა-  
ნაშვიდები გერმანელებმა არ იციან.

ყოველისავე საეკლესიო წესის გადახდა, გარდა  
ქორწიებისა და ზიარებისა, მასწავლებელსაც შეუ-  
ძლიან. გერმანელების თვალში მასწავლებელი იგი-  
ვე პასტორია და დიდის პატივისცემით ეპყრობიან.  
როცა პასტორი არ არის, საეკლესიო წესებს მას-  
წავლებელი ასრულებს: სწირავს და მხოლოდ ქადა-  
გებას წიგნიდან კითხულობს, ჰნათლავს, ჰმარხავს.

### ახალშენების მმართველობა

თანამდებობის კაცნი და მათი მავალეობა.

ახალშენს სათავეში მამასახლისი უდგას, რომელ-  
 საც „შულც“ ეძახიან. მამასახლისს ანუ „შულც“  
 სოფლის ყრილობა იჩჩევს ოთხის წლით. სამი თანა-  
 შემწე და ერთი მწერალი ჰყავს. ყველა ჯამავირს  
 იღებს თვეში რვა თუმნიდან დაწყებული ხუთ თუმ-  
 ნამდე. რადგანაც ახალშენს ძალიან ბევრი სასოფ-  
 ლო დაწესებულება აქვს, შულცს ძალიან ბევრი  
 საქმე აქვს. შულცი ყურს უგდებს სასოფლო შენო-  
 ბებს, წყალსადენს, სარწყავ არხს, ქუჩებს, განათე-  
 ბას. შულცს აბარია საზოგადო ფული, რომელიც  
 სესხად ეძლევა სოფლელებს და სარგებელი ამ ფუ-  
 ლისა სოფლის სასარგებლოდ მიდის. შულცი ყრი-  
 ლობის მიერ ამორჩეულებობან ერთად ვენახების  
 მორწყვის რიგს აწესებს. სარწყავი წყალი თავისუ-  
 ფალი თითქმის არასოდეს არ არის, არც დღე და  
 არც ღამე. ერთის კვირის წინად დაახლოვებით ყვე-  
 ლამ იცის, თუ როდის შეხვდება მორწყვის ჯერი.  
 წყალს საათობით ჰნიშნავენ. ამას გარდა, შულცი  
 ყურს უგდებს სასოფლო მიწებსაც. თუმცა მიწები  
 თითქმის გაყოფილია და ყოველ მეკომურს მიწა  
 საკუთარი აქვს, მაგრამ ცოტაოდენი მიწა გასაყო-  
 ფია, და ამ მიწებით მორიგებით სარგებლობენ. მი-

წის გაყიდვისა ან დაგირავების ნება მოახლოეს შექმნა  
არა აქვთ.

საზოგადო საქმეებს კრება ანუ ყრილობა სწყვე-  
ტავს. რადგანაც კვირა დღით გერმანელები არა საქ-  
მიანობენ, ამისათვის ყრილობა კვირაობით არ იმარ-  
თება. ყრილობას ჰმართავენ საქმის დღეს, მეტ ნაწი-  
ლად დილაობით, სამუშაოზე წასვლის წინ, ხუთ-  
ექვს საათზე. ახალშენში ყრილობის მოხდენა ძა-  
ლიან ადვილია: გერმანელებს ჰყავთ ერთი კაცი,  
რომლის მოვალეობაც ხალხის დაძახებაა ან რაიმე  
საქმის გამოცხადება. ამ კაცს „ბიტელს“ ეძახიან.  
როდესაც საჭიროა რაიმე გამოცხადოს ხალხს, ბი-  
ტელი აიღებს ზარს და ქუჩა-ქუჩა დადის. ნუ დაგა-  
ვიწყდებათ, რომ ახალშენში ქუჩები სწორია და  
ადვილია ჩამოვლა. თუ საჩქარო საქმეა, „ბიტელი“  
ცხენით დადის, თუ არა და — ფეხით. ბიტელი ჯერ  
ზარს რეკავს, რომ ყურადღება მიიქციოს, შემდეგ  
კი ამბობს, რაც სათქმელი აქვს. ასე შემოუვლის ყვე-  
ლა ქუჩას და ყველას გააგებინებს, რაც საჭიროა.  
ბიტელის საშუალებით, სოფელში შეგიძლიანთ გა-  
მოაცხადოთ, რაც კი გსურთ. მაგალითად, თუ ეძებო  
სახლს, მიმართავთ ბიტელს, მისცემთ ათ შაურს (ეს  
არის დანიშნული კერძო განცხადების ფასად), და  
ის გამოაცხადებს სოფელში. თუ გინდათ რამის გა-  
ყიდვა, ან რამის ყიდვა ამასაც ბიტელის საშუალე-  
ბით გამოაცხადებთ. თუ წარმოდგენის გამართვა  
გინდათ, საჭირო არ არის აფიშების გაკვრა, ბიტელი  
ყველაფერს გააგებინებს ხალხს.



ბიტელის საშუალებით ცხადდება, ფრანგულ-ფრანგული სად უნდა გიყიდოს ღვინო, და არც ჭრით უწერს მას ნელს არ შეუძლიან იმაზედ იაფად გაჰყიდოს ღვინო, რაც ბიტელის საშუალებით „შულცმა“ და ამორჩეულმა კაცებმა გამოაცხადეს. ამისთანა ერთი პირი კარგია და გერმანელები ძალიან კარგ ფასა-დაც ჰყიდიან ღვინოს. ბიტელის პირით ცხადდება, როგორც ღვინის ფასი, აგრედვე ის, თუ რა ფასი უნდა მისცენ ამა თუ იმ საქონელში. მაგალითად, ზამთრის დამდეგს გერმანელებს წესადა აქვთ იყი-დონ ლორები და დაამზადონ ლორი, კუპატები; ზამთრის პირში სომხები ჩამორეკენ ხოლმე ლორს. რადგანაც ყველა გერმანელს ესაჭიროება ლორის ყიდვა, ამისათვის მელორეები ფასს ძალიან ასწევენ ხოლმე. ამ შემთხვევაში ბიტელი გამოაცხადებს: ლორის ფასი ესა და ეს არის და ვინც მეტს მისცემს, დაჯარიმებული იქნებაო. ასე ხდება განიხვრა.

### სხვა-და-სხვა საამხანაგო დაწესებულებანი

კოოპერაციები; მომხმარებელი და გამსესხებელი ამხანაგობანი; საზოგადო სარდაფი ანუ მარანი.

ზემოდ ჩამოთვლილი მაგალითებიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ როგორის ერთსულოვ-ნებით მოქმედობენ გერმანელები. მაგრამ მათს სა-ზოგადოებრივს სულის სიძლიირეს პხატავს უფრო მათგან დაარსებული ამხანაგობანი. ყველას კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ ძვირად ჰყიდიან საქო-



ნელს ვაჭრები. სიძვირესაც ჯანი გავარდეს, უმოქმედულება  
ვაჭარს ხშირად არც კი აქვს ის საქონელთვის უფრო თანა  
გინდა, ან თუ აქვს და იყიდე, ხშირად უვარებისია.  
საჭიროა, კაცმა საქონელი იყიდოს პირდაპირ სა-  
ქონლის გამკეთებლისაგან; მაშინ საქონელი იაფიც  
დაჯდება და კარგიც იქნება. მაგრამ ერთი კაცისა-  
თვის ეს მოუხერხებელია. ერთ კაცს ცოტა საქო-  
ნელი სჭირდება და ცოტა საქონლის დაბარება კი  
ძვირად ჯდება. აი ამისათვის საჭირო სხვებთან შე-  
ერთება, ამხანაგობა, სამხანაგო დუქნის დაარსება.

ყოველ ახალშენში საამხანაგო დუქანი არსე-  
ბობს, რომელსაც „კონზუმს“ ეძახიან. ამხანაგობის  
წევრად თითქმის ყველა მცხოვრებელია. საწევრო  
გადასახადი ერთი თუმანია. „კონზუმში“ მოიპოვება  
ყოველივე საჭირო საქონელი: წვრილმანი, ფართ-  
ლეულობა, რკინეულობა, მეურნეობისათვის საჭირო  
იარაღი, ყველი, ერბო, შაბიამანი და სხვა. ყოველი  
გერმანელი „კონზუმში“ ვაჭრობს. „კონზუმი“ ვაჭ-  
რობაში არავის ატყუებს, და თუ ვინმე ნისიად ჰხარ-  
ჯავს, ზედმეტს არ აწერს, როგორც ეს კერძო ვაჭ-  
რებმა იციან. ახალშენში რამდენიმე კერძო ვაჭარი  
არის, მეტ ნაწილად სომხები. კერძო ვაჭრები „კონ-  
ზუმის“ დიდი მტრები არიან, და სცდილობენ „კონ-  
ზუმს“ სახელი გაუტეხონ, აფრცელებენ მის შესახებ  
სხვა-და-სხვა ჭორს, მაგრამ მაინც ვერას აკლებენ.  
მაგ-, ერთხელ ერთი ვაჭარი ნავთს კონზუმთან შე-  
დარებით უფრო იაფად ჰყიდდა. ყველგან იმას ლა-  
პარაკობდა, კონზუმში ყველაფერი ძვირად იყიდება,

მაგათ რა იციან ვაჭრობისაო. მაგრამ შეამოწმეს ვა-  
ჭრის საწყაო კურკელი და ნაკლები აღმოჩენა შეიძლება  
შინივე ვაჭრობა აუკრძალეს და ახალშენიდან გაძე-  
ვეს. ყველა ვაჭარმა სოფლისაგან უნდა აიღოს ვაჭ-  
რობის ნებართვა. ამ ბოლო დროს გერმანელები  
კერძო ვაჭრებს აღარ აძლევენ ვაჭრობის ნებას და  
„კონზუმს“ კი აფართოვებენ.

გარდა „კონზუმისა“, გერმანელებს აქვთ საამ-  
ხანაგო საყასბო დუქანი. ვინ არ იცის ყასბების თავ-  
გასულობა! ხორცს ხომ ძვირად ჰყიდიან, და ვინ  
იცის კიდევ, როგორის საქონლის ხორცსა ჰყიდიან.  
ჩაკვდება საღმე ხარი, ხორცს საყასბოში მიარბევინე-  
ბენ. გახდება ძროხა ავად, და ავადმყოფ ძროხის  
ხორცსაც საყასბოში ამოაყოფინებენ თავს. ჩვენ კი  
უფარგისის ხორცით ვიკვებებით. ამასაც გერმანე-  
ლებმა ამხანაგობა წაუყენეს წინ. საამხანაგო საყას-  
ბოში მუდამ ხალი ხორცი იყიდება. ხორცის ფასი  
ახალშენ გერმანელებისათვის სხვაა, გარეშეთათვის—  
სხვა. ეს იმიტომ, რომ გერმანელები თავიანთებისა-  
გან არას იგებენ, სხვაზე კი მოგებით ჰყიდიან; ხორ-  
ცის ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ დაკლული  
საქონელი რა დაუჯდათ, ამიტომ ფასი ძალიან ცვა-  
ლებადია, მაგ. თუ დღეს ხორცი გირვანქა 12 კაპ.  
იყიდება, შეიძლება ხვალ იმაზედ უკეთესი ხორცი 8  
კაპ. გაიყიდოს.

საამხანაგო დუქნის გარდა, გერმანელებს საამ-  
ხანაგო აფთიაქიცა აქვთ და ექიმიცა ჰყავთ დაქი-  
რავებული.



გარდა ზემოდ ჩამოთვლილ ამხანაგობათა, როგორც მელთაც მომხმარებელი ამხანაგობა ჰქვიან, გრძელებული ლებს აქვთ **გამსალებელი** ამხანაგობაც. როცა კაცი საქონელი აქვს გასაყიდი, მაგ., ღვინო, სცდილობს მალე გაპყიდოს, რათა ფული აიღოს და ხელი მოინაცვლოს. რადგანაც ღვინო ბევრს სხვასაცა აქვს გასაყიდი, და იმათაც ფული უჭირთ, ამისათვის ერთმანეთს ეჯიბრებიან და ღვინოს აიაფებენ. ღვინოს ჩარჩები ყიდულობენ, იმისთვის კი არა, რომ სულ თითონ დალიონ, არამედ იმისთვის, რომ შემდეგ გაყიდონ და ფული მოიგონ. ჩარჩები სცდილობენ, რაც შეიძლება იაფად, ჩაიგდონ ხელში საქონელი. ძალიან კარგი იქნებოდა, თუ ღვინოს ჩარჩებს კი არ ჩაუგდებდით ხელში, არამედ უიმათოდ პირდაპირ ღვინის მხმარებელს მიყყიდდით ღვინოს, მაშინ მოგება ჩვენვე დაგვრჩებოდა. ღვინის მიყიდვას პირდაპირ მხმარებელისათვის ერთი კაცი ვერ მოახერხებს. აქაც საჭიროა შეამხანაგება, ამხანაგურად ღვინის გაყიდვა. თუმცა გერმანელები, „ბიტელის“ საშუალებით, თითქმის ერთნაირ ფასად ჰყილდნენ ღვინოს, მაგრამ მაინც იმდენად ვერ ასწევდნენ ხოლმე ღვინის ფასს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ელენენდორფის ღვინოებს მეტ ნაწილად ორი მდიდარი კაცი ყიდულობდა — ფორერი და ჰუმმელი. ისინი ღვინის ფასს ძალიან დასცემდენენ ხოლმე. თუმცა ახალშენები გამოცხადებული ყოფილა, ამა და ამ ფასზე იაფად ნუ გაპყიდით ღვინოებსაო, მაგრამ ფორერს



მაინც ვედრო ლვინო სამ აბაზამდე დაუყვანტურა შეუწისეს  
თან საბრძოლველად მასწავლებელმა რექტორი მისმა ცეკვა  
შექმნა ლვინის გამყიდველთა ამხანაგობა, რომელსაც  
სახელად უწოდეს კონკორდია (შეთანხმება). კონ-  
კორდიის დანიშნულება ის არის, რომ კარგ ფასად  
იყიდებოდეს გერმანელების ლვინოები. ელენენდო-  
რფის ლვინო კავკასიაში ძალიან ცოტა იყიდება.  
ამისათვის საჭირო იყო, ეს ლვინოები რუსეთსა და  
ციმბირში გაესაღებინათ. რუსეთში კი ნამდვილი ლვი-  
ნო არა საღდება; ამისათვის გახდა საჭირო ელენენ-  
დორფის ლვინოების სხვადასხვა ნაირად დამზადება.  
„კონკორდიამ“ ააშენა თავისათვის საამხანაგო სარ-  
დაფი, მოიწვია ლვინის მკეთებელი და შეუდგა ლვი-  
ნოების მზადებას. ნამდვილ ლვინოს ურევენ შექარს,  
სპირტს, სხვადასხვა შარბათეულს სურნელებას და  
ამზადებენ მრავალ გვარ ლვინოს: შუშენა ლვინოს,  
ტკბილს, მუსკატს და სხვ.; ერთისა და იმავე ლვი-  
ნისაგან ხუთ-ექვს ნაირ ლვინოს აკეთებენ. ეს შე-  
ზავებული ლვინო კი ძალიან საღდება რუსეთის ბა-  
ზარში და კარგი ფასიცა აქვს. „კონკორდიის“ სა-  
ქმედი ძალიან კარგად მიდის და ბევრ ლვინოსაც  
ასაღებს. ამ ამხანაგობამ ძალიან ასწია ლვინის ფასი.

---

\* ) საზოგადოდ გერმანელთა მასწავლებლები დიდ შრო-  
მას ეწევიან ამა თუ იმ საამხანაგო დაწესებულებაში. „კონ-  
კორდი“—საამხანაგო საყასბო, არყის საამხანაგო სახდელიც მას-  
წავლებელ რეიტენბახის შრომითაა შექმნილი. სხვა ახალ-  
შენებ მიაკ მასწავლებლები უდგანან სათავეში ამა თუ იმ ამხა-  
ნაგობას.



თუ წინად ერთი ვედრო ლვინის ფასი სამ აჭაჭაში ჭრული  
ჩამოდიოდა, ახლა მანეთზე ძირს აღარ იწერებოდა მომენტისა

როდესაც ძალიან ბევრი ლვინო მოდის და მო-  
სალოდნელია, ლვინის ფასი დაეცემა, ზედ მეტ ლვი-  
ნოებს კონიაკად ჰქონიან, და ბაზარს არ ატყობინე-  
ბენ ზედ მეტ ლვინის მოსვლას.

თუმცა ელენენდორფში და სხვა ახალშენშიაც  
ყველა გერმანელი ცალკე აყენებს ლვინოს და ყვე-  
ლას თავისი ცალკე მარანი აქვს, მაგრამ ახლად მო-  
შენ ახალშენში კი თავისი საკუთარი სარდაფი არა-  
ვისა აქვს. მართლაც და სარდაფის აშენება ძალიან  
ძვირად ჯდება. მიწის ამოთხრა, კედლების ამოყვანა,  
თალის გადაყვანა ბევრს ფულს თხოულობს. მაგრამ  
თუ ყველას ერთი საზოგადო სარდაფი ექნება, მაშინ  
იაფად დაუჯდებათ. ახალშენებშიაც ამასა ვხედავთ.  
მაგალითად, სადგურ აქსტაფის ახლოს, ეს რამდე-  
ნიმე წელიწადია, რაც ახალშენი გრიუნფელდი დაა-  
რსეს; აქ საამხანაგო, სასოფლო, სარდაფი აქვთ, და  
ყველანი აქ აყენებენ და ინახვენ ლვინოს.

გერმანელები საზოგადოდ მდიდრები არიან,  
მაგრამ არ გეგონოთ, აუარებელი მიწები ჰქონდეთ.  
გერმანელის ოჯახს საშუალოდ ერთ დესეტინა ვენახი გერმა-  
ნელს ექვსას მანეთზე მეტ წმინდა შემოსავალს აძ-  
ლევს. ჩვენში კი ბევრი, ბევრი სამას მანეთამდე  
მისცემს წმინდა შემოსავალი, ხარჯს გარდა. ეს  
იმის ბრალია, რომ გერმანელები ჩვენზე უკეთესად  
უვლიან ვენახებს და ლვინოსაც ჩვენზე უფრო მეტ



ფასად ჰყიდიან. ვენახების შემუშავება და გრაფიკული გერმანელს ჩვენზე იაფად უჯდება, რატომ აუკავშირება საქონელში კერძო ვაჭრებს მეტს ვაძლევთ, გერმანელებს კი, მომხმარებელ ამხანაგობის წყალობით, იაფად უჯდებათ საქონელი. გერმანელებში სამხანაგო დაწესებულებანი ძალიან ღონივრები არიან, ჩვენში კი არა. ეს იმითი აიხსნება, რომ გერმანელები ყველანი წერა-კითხვის მცოდნენი არიან და ყველას ღრმადა აქვს შეგნებული ამხანაგობის მნიშვნელობა. ჩვენ კი ჯერ ისევ შეუგნებლები ვართ და არ გვეხმის, რა ძალაა ამხანაგობა.

### სწავლა-აღზრდის საქმე.

აღზრდა ბავშვისა ოჯახსა და სკოლაში.

ახლა გავითვალისწინოთ გერმანელთა აღზრდა. რასაკვირველია, ქალებისა და ვაჟების აღზრდა ერთ-მანეთისაგან განირჩევა, მაგრამ საერთოდ კი ყველა გერმმნელი ბავშვს ღვთის შიშსა და მოკრძალებაში ზრდის. ყოველ ბავშვს თავის მამის ხათრი და შიში აქვს. დედა კი, სამაგიეროდ, ბავშვებს ანებივრებს. რამდენადაც მამა სასტიკია, იმდენად დედა ლმობიერია. როგორც დედა, აგრედვე მამაც სცდი-ლობს ბავშვს ღვთის სიყვარული შთაუნერგოს, ამისათვის დედ-მამა ბავშვებთან ერთად ხშირად გალობენ ხოლმე ღვთის სადიდებელ საგალობლებს. კვირაძალზე ყოველ სახლში გალობა ისმის: მამა ან დედა უკრავს ფისვარმონიას და სხვები გალობენ.

უნდა შევნიშნო, რომ თითქმის ყოველ გერმანელის  
ოჯახში არის ფისგარმონია, და ყოველმა გერმანელითიც ა  
მა იცის ფისგარმონიის დაკვრა. შეძლებულ ოჯახ-  
ში პიანინიზედ დაკვრას ქალები სწავლობენ. ძა-  
ლიან ბევრი თავის შვილებს სკრიპკაზე დაკვრას ას-  
წავლის. ამ გვარად, პატარაობიდანვე გერმანელები  
მუზიკას სწავლობენ, და საკვირველი არ უნდა  
იყოს, თუ გერმანელებმა ძალიან ბევრი გამოჩენილი  
მუზიკის მცოდნე მოგვცეს. აქ საზოგადოდ გერმა-  
ნელებზედ მოგახსენებთ.

წერა-კითხვას ყველანი სახლში აწყებინებენ  
შვილებს. შვიდის წლისა, როგორც ვაჟი, ისე ქალი,  
ყველას სკოლაში მიჰყავს. ყოველ ახალშენში ორ-  
კლასიანი სკოლაა. სწავლაც ყველასთვის სავალდე-  
ბულოა, რადგანაც გერმანელთა სარწმუნოება ამას  
მოითხოვს. სოფლის სკოლაში ზრდიან თავიანთ  
შვილებს არა მარტო ღარიბები, როგორც ჩვენშია,  
არამედ მდიდრებიც. რაც უნდა მდიდარი იყოს გერ-  
მანელი, შვილს ჯერ თავის სოფლის სკოლას გაა-  
თვებინებს. მილიონერ ფორერის შვილებიც ჯერ  
სახალხო სკოლაში სწავლობენ და შემდეგ საშუალო  
სკოლაში გადაჰყავთ. ჩვენში კი, საუბედუოდ, ასე  
არ ვიცით. ჩვენა ვსცდილობთ, რაც შეიძლება, მა-  
ლე მივაბაროთ ჩვენი შვილები საშუალო სკოლაში,  
მოვაშოროთ ოჯახს და ამით მოვაკლოთ ოჯახის  
აღმზრდელობითი გავლენა. რაც უნდა ცუდად იყოს  
წარმოებული პირველდაწყებითი სკოლა, ცოტა აღა-  
ვი მაინც აქვს დათმობილი სამშობლო ენას, და



ამას კი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა იქნას და რადგანაც ოჯახიდან სკოლაში გადასვლისას უფრო ფრთხოება უნდა მჩხვარდოს.

გერმანელს უყვარს თავისი სკოლა და შვილებ-  
საც იქა ზრდის. სკოლაში სწავლა ექვს წელიწადს  
გრძელდება. ყველა საგანს პირველ ოთხ წელიწადს  
სამშობლო ენაზე ასწავლიან. რუსულ ენას მხოლოდ  
მეორე წლიდან იწყებენ, და სამ წელიწადს რუსულ  
ენას ისე სწავლობენ, როგორც საგანს. მეხუთე და  
მეექვეს წელიწადს კი ყველა საგანს რუსულიდ  
ითვისებენ. საღმოო სჯულს ყველგან სამშობლო  
ენით ასწავლიან. ორ კლასით სკოლის გათავების  
შემდეგ, საკონფირმაციოდ (საზიარებლად) ემზადე-  
ბიან.

Տյուղաս Տայքուտարո Շենոծա օվակ. Եթազլա Եթառ-  
մոցի Խամտարշի գոլուս 8 Տատուգան 11-մօց; Շեմօցը  
Տատ Խաեցրուտ Տյուղա Ռյութըծա, Թուեթազլցնո Հա  
թաԵթազլցըցլնո Տաելշի Թուգուն Տասագոլուց. Տագո-  
լունծուս Շեմօցը, օւց Ռյութըցնուն ՏաԵթազլցըցլնո Հա  
ռու Տատս Կուցը ԹեՎագոնեցըն. Շեմոցը Թասա  
Հաթագուցելնոց Կու Եթազլա գոլուս Մցուց Տատուգան Ռյուց-  
նո Հա Առ Տատնց Տագոլունծըն.

ელენენდორფის ორ-კლასიან სკოლას ექვსი მასწავლებელი ჰყავს, სხვა ახალშენებში კი ხუთი. მასწავლებლებს ჯამაგირად  $600 - 900$  მანეთამდე ეძლევათ. მასწავლებლებად გერმანელები არიან, რადგანაც გერმანელებს თავისი კაცი ქვეყანას ურჩევნიათ, რასაკვირველია, არა ცუდი, არამედ კარგი.

ორ-კლასიან სკოლის გათავება სავალდებულოთა შემდეგ  
მაგრამ, ორ-კლასიან სკოლას გარდა, ელექტრიზაციული ენერგეტიკული მარკეტი არსებობს **ცენტრალური სკოლა**. ცენტრალურ სკოლაში იღებენ ორ-კლასიანში კურს დასრულებულებს ყველა ახალშენიდან. ცენტრალურ სკოლაში სწავლა სამ წელიწადს გრძელდება და ოთხი მასწავლებელი ჰყავს, რომელთაც ჯამაგირად 1200 მანეთი ეძლევათ თითოს. ეს სასწავლებელი კერძოა, სკოლის **მეგობრებისაგან** დაარსებული (სკოლის მეგობრებზე ქვევით მექნება ბაასი). ცენტრალური სკოლა გერმანელებს საზოგადო განათლებას აძლევს. მეურნეობას კი გერმანელი ბავშვი თავის ოჯახში სწავლობს. თუ კაცს საზოგადო განათლება აქვს, მეურნეობის გაუმჯობესება წიგნების კითხვით და გამოცდილებითაც შეუძლია. გერმანელების ცენტრალური სკოლა პროგრამით წინა სდგას ჩვენებურ საქალაქო სასწავლებელზე, მაგრამ ამ სკოლის გათავების შემდეგ გერმანელი არ მიღის სხვადასხვა კანცელარიებში მოხელედ, როგორც ეს **ჩვენში** იციან, არამედ უბრუნდება მიწას და მას ჩაკირკიტებს.

ჩვენში კი, საუბედუროდ, ხუთმეტ მანეთიან მოხელეობას ამჯობინებენ თავის მამულის ხუთ თუმნიან შემოსავალს. ჩვენი მემამულე ისევ იმას ამჯობინებს — დილიდამ საღამომდე კანცელარიაში იჯდეს და ბუზებსა სთვლიდეს, ვიდრე თავის მამულს უვლიდეს. თუ ამ მემამულეს საქალაქო სასწავლებელიც დაუსრულებია, ან ცხვირი მაინც შეუკვია შიგა, მაშინ ხომ, ღმერთმა დაიფაროს, მიწის მუშაობა რა იმისი



საკადრისია? თავი „ინტელიგენტად“ მოჰქმება უფლება ჰქონია, „ინტელექტუალი“ მუქთა პლატიფილურა უნდა იხატებოდეს. ერთის სიტყვით, ჩვენში მუშაობა, შრომა, რაღაც არა საკადრის საქმედ არის გადაქცეული; გერმანელებში კი შრომასა და შრომელს დიდს პატივსა სცემენ.

წარმოიდგინეთ, გერმანელები ისე არიან გამსკვალულნი შრომის პატივისცემით, რომ ერთმანეთში მდიდრისა და ღარიბის გარჩევა არა აქვთ. მაგ., როდესაც მილიონერი ფორერი მიდის, იგი მოვალეა ყველას — უკანასკნელ სკოლის მოსამსახურესაც კი, თავი დაუკრას, თუ სდგას. როდესაც მასწავლებლები სკოლაში იკრიბებიან, სკოლის მოსამსახურესაც ისე ართმევენ ხელს, როგორც თავის ამხანავ მასწავლებელს. ეს აქ ისე ბუნებრივად ჰქდება, რომ აზრადაც არავის მოუვა სხვანაირად მოქცევა.

შრომას გერმანელები ბაჟობიდანვე ეჩვევიან. პატარაობიდანვე ჰშველიან დედ-მამას მეურნეობაში: ვენახების მორწყვაში, ბარვაში, გაფურჩქნაში, კრეფაში და სხვა. მშობლების შემდეგ, მამულ-დედულს ძმები არ იყოფენ (ერთი დესეტინა ვენახი რა გასაყოფია?!). მთელი ქნება უმცროს ძმაზე გადადის. უმცროსი კი უმფროსებს ფულად აძლევს წილს. წინად. როდესაც ახალშენს საკმარისი მიწები ჰქონდა, სხვა ძმებს თითონ სოფელი აძლევდა მიწებს, და უმცროსი ძმა თავის ძმებს ბევრს არას აძლევდა, ახლა კი გარემოება შეიცვალა. უფროსი ძმები უმიწოდ რჩებიან და გერმანელები კი უმიწოდ ვერ გასძლებენ,



ისე როგორც თევზი უწყლოდ; ამისათვის უმიწოდეს ურარენაჟი გერმანელები საამხანაგოდ ყიდულობენ სხვადასხვა ადგილის მიწებს და იქა სახლდებიან. მაგ., ამ ცოტა ხანში გერმანელებმა ორი ახალი ახალშენი დააარსეს სადგურ აქსტაფას ახლოს. გერმანელებისათვის მიწები თათრის ბეგებს და ერთ ვილაც ქართველ თავადიშვილს მიეყიდათ. ამ ახალშენშიაც გერმანელები ისევ ისე ეწყობიან, როგორც ძველ ახალშენში იყვნენ.

**ქალების აღზრდაც ახალშენში სხვანაირია, ვიდრე ჩვენში.** ჩვენში ქალიშვილი არაფერს აკეთებს, „ქმრის სახლში რასაც იმუშავებს, ისიც ეყოფაო“.  
ასე ამბობენ ჩვენი დედები. გერმანელთა ქალიშვილები კი თავის დედ-მამის სახლში ყველაფერს აკეთებენ. გერმანელს რომ ერთად ერთის ქალიშვილის მეტი არავინა ჰყვანდეს, მაინც სახლში ყველაფერს აკეთებინებს: სახლს ალაგებინებენ, საქმელს ახარშეინებენ, ხელ-საქმეს აკეთებინებენ. გერმანელთა აზრით, ქალიშვილმა თავის დედ-მამის ოჯახში დიასახლის სობა უნდა ისწავლოს, რომ თავის ქმრის ოჯახსაც გამოადგეს. მართლაც და გერმანელთა ქალები მშვენიერი დიასახლისები არიან. იციან სახლის მოვლა, ბავშვის აღზრდა, მზარეულობა, პურის გამოცხობა, ხელ-საქმე, საოჯახო ანგარიში, ერთის სიტყვით, თუ გერმანელები დღეს ასეთი განვითარებული ხალხია, ეს გერმანელ ქალის გამრჯველობის ბრალია.


სკოლაში, როგორც ორკლასიანსა, აგრედვე ცენტრალურში, ქალები და ვაჟები ერთად სწავლობენ.



ამ გვარ სწავლის დიდი აღმზღელი მნიშვნელობაზე უძვის ქალებს ვაჟებზე და ვაჟებს ქალებზე დოდიჩ განვითარებულ აქვთ. მაგ., ქალები ვაჟებისაგან ითვისებენ სიმამაცეს, გულადობას. ვაჟები ქალებისაგან — აზრთა სიფაქიზეს, მორიდებას. ამნაირ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობისათვის. და ასეთ ზნეობრივად აღზრდილ ახალგაზდობას, როგორც ამ ახალ შენებშია, იშვიათად შეხვდებით საღმე.

სამოსწავლო წლის ბოლოს, მაისში, სასკოლო დღესასწაული იმართება ხოლმე. მოსწავლენი თავიანთ მშობლებით, მასწავლებელნი და, საზოგადოდ, ყველა მსურველნი ერთის დღით ახალ შენის გარედ მიდიან, ტყეში, და იქ პმართავენ საზოგადო სადილს. სადილზე რამდენიმე ორკესტრი უკრავს. მუსიკა კლუბებისაა, რომლებზედაც ქვეით მექნება ლაპარაკი. სადილზე ამბობენ სიტყვებს სკოლის მნიშვნელობაზე, მოსწავლეთა და მასწავლებელთა სადღე-გრძელოებს და შემდეგ ხახლში ბრუნდებიან. სკოლის დღესასწაულსაც დიდი მნიშვნელობა იქვს. ეს დღესასწაული ოჯახს სკოლისთან და სკოლის ოჯახთან აახლოვებს.

ახლა მსურს გაგაცნოთ, თუ ვინ არიან „სკოლის მეგობრები“. მართლია, ახალ შენი დიდ ფულსა ჰხარჯავს სკოლისათვის, მაგრამ სკოლას მაინც ეჭირვება ზრუნვა. მაგ., შეიძლება სკოლას აკლდეს წიგნები, კალმები, ავეჯი, ან მასწავლებელს სურდეს რაიმე გააუმჯობესოს სკოლაში და საღსარი კი არა ჰქონდეს. აი, ამისათვის არსებობს ამხანაგობა, რო-



მელიც სკოლისათვის ჰქონდავს. ამ ამხანაგობის  
წევრთ სკოლის მეგობრებს ეძახიან და დიდი შტატი მოიზარ-  
საცა სცემენ. სკოლის მეგობრები სკოლას ეხმარე-  
ბიან: თუ ფულით, თუ გამოცდილებით, თუ რჩევით.  
ცენტრალური სკოლაც სკოლის მეგობრებისაგან  
არის დაარსებული. ამ სკოლისათვის თვითონეული  
მათგანი წელიწადში ერთ თუმანს იხდის და შემოწი-  
რულება კიდევ სხვაა.

ჩვენში, საუბედუროდ, სკოლის მეგობარს კი ვე-  
რა და სკოლის მტერს კი ბევრს შეჭირდებით.


### კლუბები ახალ შენში.

გერმანელებს სამი კლუბი აქვთ: საზოგადო,  
ახალგაზდა ვაჟთა და საქალო. საზოგადო კლუბის  
წევრობა მხოლოდ სრულ წლოვანთ შეუძლიანთ და  
საწევრო გადასახადი წელიწადში ერთი თუმანია.  
გერმანელების კლუბებში არ არის არც ბანქოს, არც  
ბილიარდის, არც ლოტოს თამაშობა. კლუბი გერ-  
მანელებს დასასვენებლად და ჯანის მოსალონიერე-  
ბლად უნდათ. პირველი ალაგი კლუბში კეგლის  
თამაშობას უჭირავს. კეგლი გერმანელების საყვარე-  
ლი სათამაშოა. კეგლზე თამაშობა ჯდება სამ შაუ-  
რამდე და ჯანმრთელობისათვის ძლიერ კარგია.  
სხვა რამე სათამაშო კლუბში არ არის, თავს მუსი-  
კითა და სიმღერით ირთობენ. საზოგადო კლუბს  
ორი ორკესტრი ჰყავს სიმღებიანი და საბერი, რო-  
გორც სიმღებიანს, ისე საბერსაც კლუბის წევრნი უკ-  
რავენ; კლუბს დაჭირავებული ჰყავს მასწავლებელი,



რომელიც წევრთ მუსიკას ასწავლის. კვირაში მუსიკული ხელ კლუბში სამუსიკო საღამო იმართებულია ფლაუნტიკა ჰმართავს წარმოდგენებს, საცეკვავო საღამოს, რომელიც ხედაც კლუბის მუსიკა უკრავს. საბერი მუსიკა (სამხედრო მუსიკა) თითქმის ყოველ ახალშენშია. ახალგაზრდობა ამით ირთობს თავს, და არა ისე, როგორც ჩვენში—სამიკიტნოებში არღანზე ქვიფით. საზოგადოდ, ახალშენებში სიმთვრალეს ვერ შეხვდებით. თუ ვინმე დაითრო და სულ უმნიშვნელო უწესოება იკადრა, „შულც“ წარუდგენენ. „შულცი“ გვარს ჩაიწერს და გაუშვებს. როცა წვიმა მოვა, ქუჩები ატალახდება, ან სარწყავ არხს გაწმენდა მოუნდება, მაშინ ამ შენიშნულებს გამოიყვანენ და ამუშავებენ: ქუჩებში ტალახს ახვეტინებენ, ან სარწყავ არხს აწმენდინებენ. თუ ვინმე ამისთანა სამუშაოს გამოსვლაზე უარს განაცხადებს, ან ჯარიმას გადაახდევინებენ, ან არა და რამდენსამე დღით ბნელ ოთახში დაამწყვდევენ. აი, ასე სჯიან დამნაშავებს, მაგრამ ახალშენში დანაშაული იშვიათია.

**„ახალგაზდა ვაჟთა“** კლუბს სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს. ამ კლუბს სათავეში პასტორი უდგას. კლუბის წევრობა შეუძლიანთ მხოლოდ ვაჟებს, ქალებს კი ამ კლუბში სრულებით არ უშვებენ. საწევრო გადასახადი თვიურად ექვსი შაურია. ყოველ კვირა საღამოს ამ კლუბში იმართება საუბარი სხვა და სხვა საგანზე, მაგ., თუთუნის ვნებაზე, ზნეობრიობაზე, პურის მოყვანის გაუმჯობესებაზე და სხვა. საუბრის შემდევ იმართება კონცერტი: ახალგაზდა-



თა კლუბის ორკესტრი ასრულებს სხვადასხვან მაშრუმადან  
სიკო ნომერს; ამას გარდა ამ კლუბში პირველი მუსიკის  
ვარჯიშობასაც დიდი ალაგი უჭირავს. ამ კლუბის  
ნაკლი ის არის, რომ ქალები კლუბიდან განდევნი-  
ლი არიან. ამ ბოლო დროს „ახალგაზღა“ ვაჟთა“  
კლუბის წევრებმა მოითხოვეს, რომ ამ კლუბში ქა-  
ლებსაც შესძლებოდათ სიარული, მაგრამ პასტორი  
წინააღმდეგა.

**გერმანელ ქალებსაც თავიანთი კლუბი აქვთ —  
საქალო კლუბი.** საწევრო გადასახადი ამ კლუბ-  
ში არ არსებობს, მუდამ ხუთშაბათობით ქალები  
იკრიბებიან ერთად. ერთი ქალი წიგნს კითხულობს,  
სხვები კი ხელსაქმეს აკეთებენ და ამავე დროს კით-  
ხვას ყურს უგდებენ. რაც მთელის წლის განმავლო-  
ბაში ხელსაქმე გაკეთდება, ერთად თავს უყრიან და  
გაზაფხულზე ჰმართავენ სეირნობას, საცა თავიანთ  
ხელსაქმის ნაწარმოებს ჰყიდიან. სეირნობიდან შე-  
მოსულ ფულს ქალები რაიმე საქველმოქმედო საქმეს  
ანდომებენ. ახლა ქალებს სურთ ამ სეირნობათა შე-  
მოსავლით უფასო სამკურნალო დააარსონ.

გერმანელები, საზოგადოდ, დინჯი ხალხია, რო-  
გორც ლაპარაკით, ისე ქცევით; დაპირებულ სიტყვას  
არასოდეს არ გადავლენ. გერმანელებს დიდი ეროვ-  
ნული თავმოყვარეობა და სიმაყე აქვთ. გერმანე-  
ლებს სამშობლო ეჩა ქვეყანას ურჩევნიანთ და ლაპა-  
რაკში უცხო ენის დამარებას არა საკიროებენ. ყო-  
ველმა გერმანელმა, თავის ენის გარდა, იცის თათ-  
რული და რუსული. რაც უნდა ნასწავლი იყოს გერ-



მანელი, თუ არ დასჭირდა, რუსულად არ დაითვა-  
პარაკებს. ჩვენში მიღებულია, ვითომ ვიწყებული მუს-  
ლი იცის, ნასწავლიაო, და აკი ყველანი რუსულს  
ვამტვრევთ. გერმანელმა კი იცის, რომ ნასწავლობა  
რუსულის მტვრევით არ გამოიხატება. ბევრჯელ  
მინახავს ახალშენში ერთად თავმოყრილი სტუდენ-  
ტობა, შევსწრებივარ მათს კამათს, მაგრამ არ გამი-  
გია, რომ თავის აზრის გამოსათქმელად რუსულისა-  
თვის მიემართოთ. (ყველანი კი რუსეთის უმაღლესს  
სასწავლებელში სწავლობენ). მინატრია, ნეტა რო-  
დის შევსწრება ქართული ენა იმისთვის პატივს, რომ  
ქართველ ერის შვილთაც ქართულად შეეძლოთ  
მსჯელობა! მინატრია, მაგრამ ქართული ენა ამას  
მოესწრება?...

ამ ვეარად, ვხედავთ, რომ ახალშენები, თუმცა  
მოწყვეტილები არიან თავიანთ სამშობლოს, მაგრამ  
იმათ არ დაუკარგავთ არც დედა-ენა და არც ზნე-  
ჩვეულებანი. სხვა ერთა შორის მცხოვრებნი, იმათში  
არ გაითქვითნენ და შეინარჩუნეს თავისი ეროვნული  
თვისებანი; ერთის სიტყვით, გერმანელები არ გადა-  
გვარდნენ. გამჭრიანობითა და შრომის მოყვარეობით  
მოიპოვეს უზრუნველ ყოფილი ცხოვრება. როცა  
დაინახეს, რომ სიღარიბის გზას ადგებოდნენ, დაიარ-  
სეს ამხანაგობანი და სული მოითქვეს. ამხანაგობათა  
შემწეობით ცხოვრება გააითვეს და თავიანთ ნაწარ-  
მოებსაც კარგ ფასად დაუწყეს გაყიდვა. ამხანაგობა-  
თა შემწეობით შეებრძოლნენ კაპიტალისტის ყვლე-  
ფას და თავიანთ საქონელს თითონვე მოუპოვეს ბა-



ზარი. ამხანაგობათა შემწეობით ხელში ჩაიგდეს აწევული მიწები და დასახლდნენ.

პისტუროზე

ჩვენ კი, ჩვენსავე საკუთარ სამშობლოში მცხოვრებნი, ვკარგავთ სამშობლო ენას, ვივიწყებთ ჩვენს ეროვნულ კარგ ზნე-ჩვეულებას, ვკარგავთ ჩვენის წინაპრების სისხლით გაპოხიერებულ მიწა-წყალს და ჩალის ფასად უცხოელებს უგდებთ ხელში. სიძლიდიდრე ხელიდან მიგვდის და გაკოტრების გზას ვაღებით. რა არის მიზეზი? რასაკვირველია, ყველა მიზეზის ჩამოთვლის ვერ მოვახერხებ, მაგრამ ზოგიერთს კი ვიტყვი: უპირველესი მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა არის ჩვენი გაუნათლებლობა, უვიცობა. ჩვენი გაუნათლებლობა მით მტკიცდება, რომ სხვის ცუდი ჩვენს კარგს გვირჩევნია. ჩვენისავე გაუნათლებლობით აიხსნება ის გარემოებაც, რომ სილარიბეს ამხანაგობათა დაარსებით ვერ ვებრძეოთ. ამხანაგობის გასაძლოლად საჭიროა პატიოსანი, გამჭრიახი მუშავი, და ამისთანა მუშავი ჩვენში იშვიათია. ამხანაგობისათვის საჭიროა შეგნებული, განვითარებული წევრი, და ჩვენის სამშობლოს ორი მესამედი კი ისევ უვიცობის წყვდიადშია. ეს არის ზიზეზი, რომ ჩვენში ამხანაგობანი ფეხს ვერ იკიდებენ და მალე კოტრდებიან. ამხანაგურ დაწესებულებათ ბევრი მტერი ჰყავს, და უვიც ხალხზე ამ მტრებს უადვილდებათ გავლენის მოპოება. ამავე გაუნეთლებლობის ბრალია ჩვენი მრავალ-აზრიანობა: იქ, საცა ათასი გერმანელია, ერთი აზრი ტრიალებს, და იქ-კი, საცა ერთი ქართველია, ათასი აზრი ტრია-



ლებს. ეს მრავალ აზრიანობა კულტურის წარმატება  
ჩაითვლებოდა, რაიმე პრაქტიკული შედეგი რომ  
მოსდევდეს, მაგრამ, საუბედუროდ, ათასი აზრი ერთ  
პრაქტიკულ შედეგსაც-კი ვერ შეჰქმნის. ამ გვარად,  
ჩვენი დაქვეითება ჩვენის ხალხის უვიცობით აიხს-  
ნება.

ვისურვოთ, რომ განათლებისა და გათვითცო-  
ბიერების სხივებს მრავლად შემოეშუქებინოს ჩვენს  
სამშობლოში და მით დაღუპვისაგან დაეხსნას.

11-72-6



ფასი 10 ლარ.